ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 09 03 2021 წ.

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის
დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის**

# ბრძანება №8

## ქ. თბილისი

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტის 1-3 პრიორიტეტული არჩევის პირობებში ეროვნული გამოცდების შედეგად ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში ჩარიცხული სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტებისთვის 2020 – 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მინიჭების/მოხსნის შესახებ**

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 14 დეკემბრის (ოქმი №8) და 2016 წლის 5 დეკემბრის (ოქმი №22) საოქმო დადგენილებების, უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 20 მარტის N20 ბრძანების „2018 – 2019 სასწავლო წელს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით ჩარიცხულ სტუდენტთათვის სწავლის შეღავათიანი პირობების განსაზღვრის შესახებ" და 2019 წლის 13 აგვისტოს N28 ბრძანების „2019 – 2020 სასწავლო წელს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით ჩარიცხულ სტუდენტთათვის სწავლის შეღავათიანი პირობების განსაზღვრის შესახებ", ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის ლევან ქისტაურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. მიენიჭოთ შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება 2020 - 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლის წლიური საფასურის 20%-ის (სემესტრულად - 225 ლარი) ოდენობით ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ქვემოთ ჩამოთვლილ სტუდენტებს, რომლებმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით მოიპოვეს 50%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტი, ჩაირიცხნენ უნივერსიტეტის 1-3 პრიორიტეტული არჩევის პირობებში უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და წინა - 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი დაასრულეს მაღალი

აკადემიური მაჩვენებლით (სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად):

ა) ***ხუნძაკიშვილი მარიამ*** (კომპიუტერული მეცნიერებ)

ბ) *მულაძე იოსებ* (ფსიქოლოგია).

2. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
3. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
4. ბრძანება გასაცნობად და შემდგომი რეაგირებისთვის დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; უნივერსიტეტის ბუღალტერიას; ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანატს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**უნივერსიტეტის დამფუძნებლის**
**სრულუფლებიანი წარმომადგენელი,**
**ბოდბელი მთავარეპისკოპოსი**
**იაკობი (იაკობიშვილი)**

THE FIRST-CALLED ST ANDREW GEORGIAN UNIVERSITY OF PATRIARCHATE OF GEORGIA 205233022